ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

04 თებერვალი 2021 წელი

დადგენილება N 5

დ.ხარაგაული 56-00

9 აპრილის ქუჩა #15

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლის №5 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიკური პირობების მქონე მოქალაქეებზე და ამ წესით განსაზღვრულ სხვა პირებზე მატერიალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ “ საქართველოს ორგანული კანონის მე -20 მუხლის საფუძველზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლის №5 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიკური პირობების მქონე მოქალაქეებზე და ამ წესით განსაზღვრულ სხვა პირებზე მატერიალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ “ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი 12/02/2018, სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.128.016320).

1. ამოღებული იქნეს დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ,,ე'' ქვეპუნქტი .
2. შეტანილი იქნეს ცვლილება დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის,,ნ'' ქვეპუნტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ნ) ჰემოდიალიზის ჩანაცვლების სეანსებით მოსარგებლე ბენეფიციარებს - ყოველთვიურად 150 ლარის ოდენობით და ლეიკემიით დაავადებულებს - წელიწადში 600 ლარის ოდენობით;''

3. შეტანილი იქნეს ცვლილება დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ,,ჟ'' ქვეპუნტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ჟ) სამამულო ომის მონაწილეებს, უსინათლო მოქალაქეებს, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დევნილ ოჯახებს - ყოველთვიურად 30 ლარის ოდენობით კომუნალური ხარჯების დასაფარავად;''

4. ამოღებული იქნეს დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ,,რ'' ქვეპუნქტი.
5. შეტანილი იქნეს ცვლილება დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს '' ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ს) უკიდურესად გაჭირვებულ მოქალაქეებს, რომლებიც თხოვნის მომენტში განიცდიან ცხოვრების მძიმე სოციალურ პირობებს - არაუმეტეს 500 ლარისა.''

6. ამოღებული იქნეს დადგენილებით დამტკიცებული წესის მესამე მუხლის მე-9 პუნქტი.

7. შეტანილ იქნეს ცვლილება დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლში და დაემატოს 15 [1] და 15 [2] პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,15[1]. გადაუდებელი რეაგირების ქვეპროგრამით მოსარგებლე პირმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) საბანკო ანგარიშის ნომერი.”

,,15[2]. ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ქვეპროგრამით მოსარგებლემ უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) ვეტერანის მოწმობის ასლი;

დ) საბანკო ანგარიშის ნომერი.”

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე